

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

სექტემბერი, 2017



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შინაარსი


მთლიანი შიდა პროდუქტი	3
ეკონომიკის პოტენციური ზრდის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი	3
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში	3
ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა	4
ფასების დონე	5
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში	5
საგარეო ვაჭრობა	6
ტურიზმი	8
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	8
ფულადი გზავნილები	9
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	10
საკრედიტო რეიტინგები	10
უმუშევრობის დონე	11
სახელმწიფო ვალი	11
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი	11
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	12

მთლიანი შიდა პროდუქტი

რეგიონში განვითარებული ეკონომიკური შოკების და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე, 2016 წელს საქართველოში 2.7 პროცენტის ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. 2016 წლის ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი მშენებლობის სექტორმა (0.6 პპ), დამამუშავებელმა მრეწველობამ (0.4 პპ) და უძრავი ქონების სექტორმა შეიტანა (0.4 პპ).

2017 წლის ივლისში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა ზრდამ 3.8% შეადგინა. 2017 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.1%, II კვარტლის საშუალო ზრდამ 4.0%, იანვარ-ივლისის საშუალო რეალურმა ზრდამ კი 4.4% შეადგინა. 2017 წლის ივლისის ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი მშენებლობის (1.1 პპ), სასტუმროების და რესტორნების (0.4 პპ) და ვაჭრობის სექტორებმა (0.3 პპ) შეიტანეს.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 4% იქნება.



ეკონომიკის პოტენციური ზრდის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი¹

2017 წლის დასაწყისიდან ეკონომიკური ზრდა დაუახლოვდა მის პოტენციურ დონეს და პოტენციური დონიდან გადახრამ პირველ კვარტალში 0.5 პპ, ხოლო მეორე კვარტალში 1.1 პპ შეადგინა. 2014 წლის მე-4 კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკური ზრდა ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს. 2016 წელს მშპ გეფმა 2.1 პპ შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეული იყო საგარეო მოთხოვნის შესუსტებით და დოლარის გამყარების შედეგად გაზრდილი სესხის მომსახურების ხარჯის გამო განკარგვადი შემოსავლის შემცირებით.


ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის უახლესი პროგნოზის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2017 წელს 3.5% იქნება², რაც რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.

¹ მთლიანი შიდა პროდუქტის გეფი წარმოადგენს სხვაობას მთლიანი შიდა პროდუქტის ფაქტობრივ და პოტენციურ დონეს შორის

² გრაფიკზე მოცემული მონაცემები ეყრდნობა უახლეს პრეს-რელიზებს


2017 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი




ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმმართველია ინვესტიციები. მთლიანი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო ინვესტიციებზე მოდის და მისმა წვლილმა მშპ-ს რეალურ ზრდაში 2016 წელს 2.6 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები



2017 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი მოხმარებამ შეიტანა (3.5 პროცენტული პუნქტი), რაც გარკვეულწილად საბაზო ეფექტით არის განპირობებული. საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესების ფონზე ეკონომიკურ ზრდაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეალურმა წმინდა ექსპორტმა, მისმა კონტრიბუციამ ეკონომიკურ ზრდაში 1.8 პროცენტული პუნქტი შეადგინა.



ფასების დონე

2017 წლისათვის ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 4%-ია. 2016 წლის საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.2% შეადგინა და მიზნობრივ 5%-ზე დაბლა შენარჩუნდა. 2016 წელს ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 1.8% შეადგინა. მიზნობრივზე დაბალ მაჩვენებელს განაპირობებდა სუსტი ერთობლივი მოთხოვნა, ინფლაციის შემცირებული მოლოდინები და წინა პერიოდებში საერთაშორისო ბაზარზე საწვავსა და სურსათზე შემცირებული ფასები. შედარებით მაღალი იყო საბაზო ინფლაცია³, თუმცა ისიც კლებადი დინამიკით ხასიათდებოდა. წლის დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებელი 7%-ის ფარგლებში იყო, ხოლო ნოემბერში 0.9% და დეკემბერში 1.8% შეადგინა. საბაზო ინფლაციის საშუალოწლიური მაჩვენებელი 2016 წელს 3.6 პროცენტს შეადგენდა.

2017 წლის თებერვალ-აგვისტოში ინფლაციის დონემ გადააჭარბა მიზნობრივ მაჩვენებელს. აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 5.7%, ხოლო იანვარ-აგვისტოს საშუალო ინფლაციამ 5.8% შეადგინა. ინფლაციის დონის ზრდაზე გავლენა მოახდინა იმპორტირებულმა ინფლაციამ და შუალედური ხარჯების ზრდამ. საბაზო ინფლაცია მნიშვნელოვნად ნაკლებია და იანვარ-აგვისტოს საშუალო მაჩვენებელი 3.6%-ს შეადგენს.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2016 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2017 წელსაც.


2017 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა, წინა წელთან შედარებით 16.9%-ით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 18.9%-ით არის გაზრდილი.

ამავე პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 631.3 ათასი კაცი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5.0%-ით აღემატება, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 6.0%-ით გაიზარდა და 598.1 ათასი კაცი შეადგინა.

³ ინფლაცია ენერგომატარებლების, სურსათის და ადმინისტრირებადი ტარიფების გამორიცხვით.

2017 წლის იანვარ-ივნისში ბიზნეს სექტორის ბრუნვა 17.9%-ით, ხოლო გამოშვება 17.6%-ით გაიზარდა.

ბიზნეს სექტორი, 2016




საგარეო ვაჭრობა

2014 წლის აგვისტოდან დაიწყო საქონლის ექსპორტის კლება. კლების მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი იყო და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აჭარბებდა 20 პროცენტს. საპირისპირო ტენდენცია, შეინიშნება 2015 წლის მესამე კვარტლიდან, როდესაც ექსპორტის შემცირებაში ფასისმიერი ეფექტი დომინირებდა და რეალურ გამოხატულებაში ექსპორტმა კლება შეწყვიტა.

2016 წლის სექტემბრიდან ექსპორტი ნომინალურ გამოხატულებაშიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რეალურ გამოხატულებაში კი, ივნისის შემდეგ ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას აქვს ადგილი და საერთო ჯამში 2016 წელს რეალური ექსპორტი 10.1%-ით გაიზარდა.


2017 წლის ივლისში ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნომინალურმა ზრდამ წინა წლის ივლისთან შედარებით 22% შეადგინა. ექსპორტის ზრდა ძირითადად რეალური ეფექტით იყო განპირობებული - 15.1 პპ, ხოლო ფასისმიერი ეფექტი 7.3 პპ-ს შეადგენდა. 2017 წლის ივლისში იმპორტი 6.0%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა (6.1 პპ). საინვესტიციო საქონლის იმპორტი შემცირდა (-4.0 პპ), რაც საბაზო ეფექტით არის განპირობებული, ხოლო შუალედური საქონლის იმპორტი გაიზარდა (3.9 პპ).

ექსპორტის ცვლილება




2017 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტი წინა წელთან შედარებით 28.9%-ით (324.8 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 1,446.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 8.5%-ით (329.8 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 4,228.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საგარეო ვაჭრობა (2010-2017)




2015 წლის მეორე კვარტლიდან გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე დაიწყო იმპორტის კორექტირება და იმპორტის შემცირების ტენდენცია 2016 წლის აპრილამდე გაგრძელდა. აპრილიდან საინვესტიციო საქონლის იმპორტის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რაც ძირითადად მანქანა-დანადგარების (მათ შორის: გენერატორების, სამედიცინო აპარატურის, გამომთვლელი მანქანების, სამრეწველო დანადგარების და ა.შ) იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული მთლიანი იმპორტის ზრდა განაპირობა, თუმცა ოქტომბრიდან იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შუალედური საქონლის იმპორტის (მათ შორის საწვავი და საცხები მასალების და მანქანა დანადგარების ნაწილების) ზრდამ შეიტანა.

წვლილი იმპორტის ცვლილებაში



2016 წელს წინა წელთან ექსპორტი შემცირდა 4.1%-ით და 2 113 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი კი - 0.1%-ით შემცირდა და 7 287 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საგარეო ვაჭრობა, 2010-2016




ტურიზმი

ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 11.9%-ით გაიზარდა და დაახლოებით 230 მილიონი აშშ დოლარით მეტი სავალუტო შემოდინება დააგენერირა წინა წელთან შედარებით.

2017 წლის ივლისში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 35.7%-ით (98.5 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 374.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო, იანვარ-ივლისში ტურიზმიდან შემოსავლების 28.5%-იანი ზრდა დაფიქსირდა (325.9 მლნ-ით მეტი) და 1,468.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

შემოსავლები ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება და მისი დონე მშპ-თან მიმართებით სტაბილურობით ხასიათდება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1 565.9 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი შიდა პროდუქტის 10.9% შეადგინა.

2017 წლის პირველ კვარტალში კი წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 403.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებულ მონაცემზე 3.4%-ით მეტია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის რეალური მაჩვენებელი კიდევ უფრო შთამბეჭდავია. ბოლო პერიოდში, ძლიერი დოლარის ფაქტორის გათვალისწინებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დოლარში აღრიცხვა მისი რეალური ზრდის ტემპებს არასაკმარისად ასახავს. რეალური დინამიკის უფრო ზუსტად ასახვისათვის მნიშვნელოვანია შევხედოთ დოლარის ინდექსით შესწორებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



2017 წლის პირველ კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 35% ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა (141 მლნ. აშშ დოლარი), 20% - უძრავი ქონების სექტორში (80.3 მლნ. აშშ დოლარი), საფინანსო სექტორში - 20% (79.6 მლნ. აშშ დოლარი). მშენებლობაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 14% (56 მლნ. აშშ დოლარი), სასტუმროებსა და რესტორნებში - 4% (16 მლნ. აშშ დოლარი), სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2% (9 მლნ. აშშ დოლარი), ხოლო ენერჯეტიკაში - 2% (7 მლნ. აშშ დოლარი) შეადგინა.


2017 წლის პირველ კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში (52.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი ინვესტიცია) და 55.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ზრდის თვალსაზრისით ასევე გამოირჩეოდა უძრავი ქონების (ზრდამ წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით 91.6% - 38.4 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა) და საფინანსო სექტორები (ზრდამ წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით 42.0% - 23.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა).

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში კი პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 24.1%-ით, მეორე ადგილზე - თურქეთი 20.3%-ით, ხოლო მესამე ადგილზე გაერთიანებული სამეფო - 19.9%-ით.

ფულადი გზავნილები

2016 წლის მეორე ნახევრიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. 2016 წელს ფულადი გზავნილების 6.6 პროცენტია ზრდა დაფიქსირდა. 2017 წლის იანვარ-ივლისში

ფულადი გზავნილები გაიზარდა 19.8%-ით.




მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოწყვლადობის წყაროს წარმოადგენს.

2017 წლის პირველ კვარტალში გაუმჯობესდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და მშპ-ს 11.8% შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებამ მოახდინა. 2017 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება დაკავშირებულია დანაზოგების დონის ზრდასთან, რამდენადაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წარმოადგენს სხვაობას ეროვნულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის. ეროვნულმა დანაზოგებმა მშპ-ს 14.8% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 2.8 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მთავარ წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს და 2017 წლის პირველ კვარტალში დეფიციტის 93% პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსდა. 2016 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 13.5 % იყო.



საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“. ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს, ამჟამად საქართველოს Standard & Poor’s“-თან, „Fitch“-თან “BB- ” და Moody’s“-თან “Ba3” სტაბილური რეიტინგი აქვს.

რეგიონის ქვეყნებში კი შეინიშნება საკრედიტო რეიტინგის გაუარესება. S&P-მა და Fitch-მა გააუარესეს აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი BBB- დან BB+ მდე, ხოლო Moody's-მა Baa3 დან Ba1 მდე. Moody's-მა გააუარესესა სომხეთის საკრედიტო რეიტინგიც Ba3 დან B1 მდე. S&P-ის და Moody's-ის შეფასებით გაუარესდა რუსეთის საკრედიტო რეიტინგიც. 2014 წლის დეკემბერთან შედარებით რუსეთის საკრედიტო რეიტინგი Moody's-ის შეფასებით გაუარესდა Baa3 დან Ba1 მდე, ხოლო S&P-ის შეფასებით BBB- დან BB+ მდე. Moody's-მა 2016 წლის სექტემბერში შეამცირა თურქეთის საკრედიტო რეიტინგი Baa3 -დან Ba1-მდე, ხოლო ივლისში S&P-მა შეამცირა BB+ დან BB მდე.

2017 წლის მარტში Moody's-მა გამოაქვეყნა საქართველოს რეიტინგის შეფასება, რომლის თანახმადაც საქართველოს სუსტ მხარეებად მიჩნეულია: საგარეო მოწყვლადობის მაღალი მაჩვენებელი (უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის ჩათვლით) და გეოპოლიტიკური რისკები რეგიონში. ძლიერ მხარეებს მიეკუთვნება: მაღალი ეკონომიკური ზრდა, ინსტიტუციური სიძლიერე და ვალის ზომიერი დონე. ანგარიშის თანახმად, წამოწყებული სტრუქტურული რეფორმები და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მნიშვნელოვნად წაახალისებს ეკონომიკურ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში.

უმუშევრობის დონე

2016 წელს უმუშევრობის დონე 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8% შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი დონე იყო.

სახელმწიფო ვალი


მთავრობის ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2016 წელს მშპ-ს 44.6%-ის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი - 35.2%, ხოლო საშინაო ვალი 9.3%-ია. კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად გაიზრდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო დაფინანსების საჭიროების შემცირებას და მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ზრდას.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2017 წლის იანვარ-აგვისტოში 1,170 მილიონი ლარის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია განხორციელდა. 2016 წელს მთლიანობაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიამ 1,159 მილიონი ლარი შეადგინა. მოთხოვნა გაცილებით მაღალი იყო და 2,749 მლნ შეადგინა.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ ბაზრის გაღრმავებას და კონკურენციის ზრდას. 2017 წლის ივლისის მდგომარეობით არარეზიდენტი ინვესტორების წილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფლობაში 6.1%-ს შეადგენს.

საპროცენტო განაკვეთები სახაზინო ვალდებულებებსა და 5 წლიან სახაზინო ობლიგაციებზე




სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია ეკონომიკაში გრძელვადიანი ნდობის აღდგენაზე მიანიშნებს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2017 წლის ივლისში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად, 7%-ზე, დატოვების შესახებ. კომიტეტის გადაწყვეტილება ეყრდნობა პროგნოზს, რომლის მიხედვითაც 2017 წელს ინფლაცია ძირითადად მიზნობრივ მაჩვენებელზე ზემოთ იქნება. თუმცა, 2018 წელს ინფლაცია შემცირდება და მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება.

2016 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე ეროვნული ბანკი შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ინფლაცია





ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: 0108 ქ, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №10^ა

ტელეფონი: +(995 32) 2 99 11 14

ფაქსი: +(995 32) 2 92 15 34

ელ.ფოსტა: vtsintsadze@economy.ge